LE GOUVERNEMENT
DU GRAND-DUCHÉ DE LUXEMBOURG
Ministère de la Justice

# INFODROIT (ინფორმაციის მიღების უფლება)

**საინფორმაციო ფურცელი განკუთვნილია დაზარალებულპირთათვის,**

**სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3-7 მუხლის შესაბამისად**

## დაზარალებულის ცნების განსაზღვრება

დაზარალებულის სტატუსი მიენიჭება პირს, რომელმაც რაიმე სახის ზარალი განიცადა სამართალდარღვევის შედეგად.

აღნიშნული ფურცელი ითვალისწინებს დაზარალებულის ინფორმირებას შემდეგის შესახებ:

- **ვისგან და რა სახის <u>დახმარება</u> შეუძლია მიიღოს. იგულისხმება აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ძირითადი ინფორმაცია სამედიცინო დახმარების, ყველა სახის სპეციალური დახმარების, ფსიქოლოგიური დახმარების და საცხოვრებელი ადგილთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ;**

თქვენ გაქვთ უფლება, მიმართოთ დაზარალებულთა დახმარების სამსახურს და მოითხოვოთ <u>უფასო</u> ფსიქოლოგიური დახმარება, რომელსაც გთავაზობთ გენერალური პროკურატურის დაზარალებულთა დახმარების სამსახური. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სამსახური დაგაკავალიანებთ საცხოვრებელი ადგილის მოძებნის საკითხში. თქვენ ასევე შეგიძლიათ, დანიშნოთ შეხვედრა თქვენს მკურნალ ექიმთან, ისარგებლოთ ფსიქოლოგის ან ექიმი სპეციალისტის დახმარებით.

<u>სპეციალური სერვისების სია წარმოდგენილია აღნიშნული საინფორმაციო ფურცლის ბოლოს.</u>

- **სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული <u>საჩივრის</u> შეტანის პროცედურები და <u>დაზარალებულის როლი აღნიშნულ პროცედურებში;</u>**

თუ გახდით სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი, შეგიძლიათ წარადგინოთ საჩივარი დიდი საჰერცოგოს პოლიციაში. პოლიცია დაარეგისტრირებს თქვენს საჩივარს და შეადგენს ოქმს. აღნიშნულთან დაკავშირებით, პოლიციის წარმომადგენელი მოისმენს თქვენ მიერ აღწერილ გარემოებებს და ინფორმაციას ფაქტების მსვლელობის შესახებ. გასაუბრების ბოლოს ხელი უნდა მოაწეროთ საჩივარს, რომელიც ოქმის სახით გადაეცემა კომპეტენტურ პროკურატურას. პროკურატურა საფუძვლიანად შეისწავლის საჩივარს და გადაწყვეტს შემდგომ ქმედებებს. სახელმწიფო პროკურორი ინფორმაციას მოგაწვდით საჩივრის მიღებიდან 18 თვის ვადაში და გაცნობებთ მისი მსვლელობის შესახებ.

ასევე შეგიძლიათ საჩივრის შეტანა შესაბამისი სამართლებრივ ტერიტორიაზე მოქმედ სახელმწიფო პროკურორთან ან საკუთარი უფლებების დაცვა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე, სამოქალაქო საჩივრის შეტანით.

- <u>მფარველობის</u> მიღების პროცედურები და პირობები;

თუ თქვენ გახდით ტრეფიკინგის ან მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ განსაკუთრებული დაცვის უფლებით, გარკვეული პირობების გათვალისწინებით. მსგავსი შემთხვევის პირობებში, მოგიწოდებთ, მიმართოთ საპოლიციო ან სასამართლო ორგანოებს და მიაწოდოთ მათ სათანადო დეტალური ინფორმაცია.

- <u>ადვოკატის მომსახურების</u>, კანონით განსაზღვრული პირობების ფარგლებში <u>იურიდიული დახმარებისა</u> და ნებისმიერი სხვა სახის კონსულტაციის მიღების **პირობები და საშუალებები**;

თუ არ გაქვთ ადვოკატის მომსახურების ხარჯების დაფარვის საშუალება, შეგიძლიათ ისარგებლოთ იურიდიული მომსახურებით, იურიდიული დახმარების შესახებ 2023 წლის 7 აგვისტოს კანონით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით გაცხადებით უნდა მიმართოთ კომპეტენტურ ადვოკატთა კოლეგიას.

- <u>კომპენსაციის</u> მიღების პროცედურები და პირობები;

თქვენ გაქვთ უფლება, მიმართოთ მოსამართლეს წერილობითი შეტყობინებით იმის შესახებ, რომ წარადგენთ სამოქალაქო საჩივარს თქვენი შეფასებით მოყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნით. აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება ჩამოყალიბდეს პროცედურის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ სამოქალაქო საჩივრის წარდგენის მომენტიდან, თქვენ აღარ შეგიძლიათ პროცესში მონაწილეობა მოწმის სტატუსით.

რიგ შემთხვევაში, თქვენი უფლება კომპენსაციის მიღების შესახებ შეიძლება თეორიულ საკითხად დარჩეს, კონკრეტულად: თუ აგრესიის ჩამდენის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა ან მას ვერ პოულობენ.

ამ შემთხვევაში, თუ თქვენ გახდით განზრახ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი, რომლის შედეგად მიიღეთ ფიზიკური ზიანი და თუ აღნიშნული ზიანი დადასტურებულ იქნა წარმოებული სასამართლო პროცესის დასკვნით, შეგიძლიათ იუსტიციის სამინისტროში კომპენსაციის მოთხოვნაზე განაცხადის შეტანა, 1984 წლის 12 მარტის დადგენილების საფუძველზე, რომელიც შეეხება ზოგიერთი დაზარალებული პირისთვის დანაშაულის შედეგად მიღებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურების მიზნით კომპენსაციის გაცემასა და გადასახადებისგან თავისუფალი (sic: თაღლითური) გზით თავის არიდებისთვის გათვალისწინებულსა და მსჯელო ზომებს.

იუსტიციის სამინიტროსთან არსებული სპეციალური კომისია შეისწავლის, შეესაბამება თუ არა თქვენთვის მოყენებული ფიზიკური ზიანის სიმძიმე კანონით გათვალისწინებულ პირობებს და შეაფასებს თქვენთვის მოყენებული ზარალის ოდენობას.

პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ იუსტიციის სამინისტროს ვებსაიტზე.

- <u>ზეპირი და წერილობითი თარგმანის მიღების უფლებით სარგებლობის პროცედურები და პირობები;</u>

თქვენ გაქვთ ინფორმაციის მოპოვებისა და განცხადების გაკეთების უფლება თქვენთვის გასაგებ ენაზე. მოგიწოდებთ, მიაწოდოთ პოლიციის თანამშრობლებს საჭირო ინფორმაცია თქვენთვის გასაგებ ენაზე ან ენებზე.

- უფლებების განხორციელების საშუალებები, როდესაც საქმე ეხება <u>ევროკავშირის წევრი რომელიმე სხვა ქვეყანაში მცხოვრებ პირს;</u>

თუ თქვენ ცხოვრობთ ევროკავშირის წევრ რომელიმე სხვა ქვეყანაში და გახდით ლუქსემბურგში ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტის მსხვერპლი, შეგიძლიათ საჩივარი წარადგინოთ ლუქსემბურგის პოლიციაში.

- <u>გასაჩივრების</u> ხელმისაწვდომი პროცედურები იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლის უფლებები არ იქნა დაცული;

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი უფლებები არ იქნა დაცული კომპეტენტური ორგანოს მხრიდან, სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის ფარგლებში, შესაძლებელია იმოქმედოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3-4 (6), 3-5 (8) და 23-5 მუხლებით გათვალისწინებული ფორმებისა და პროცედურების შესაბამისად.

- **სასარგებლო საკონტაქტო ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებული შეტყობინებების გასაგზავნად;**

გაითვალისწინეთ, რომ დაზარალებულის საჩივართან დაკავშირებული ყველა სახის კორესპონდენცია გაიგზავნება საჩივრის შეტანის დროს მითითებულოფიციალურ მისამართზე.

- **შუამავლობისა და აღდგენითი სამართლის შესაძლებლობები;**

სისხლის სამართლის პროცესის და საპროცესო ეტაპების მიმდინარეობისას, მათ შორის სასჯელის აღსრულების პერიოდში, აღდგენითი სამართლის სამსახური (SEJURE) სთავაზობს დაინტერესებულ პირებს ტრადიციული სასამართლო პროცედურების მიღმა დიალოგის წარმოების შესაძლებლობას. აღნიშნული სერვისი უფასოა და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

აღდგენითი სამართლის ღონისძიება საშუალებას აძლევს მხვერპლსა და დანაშაულის ჩამდენს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა დანაშაულთან დაკავშირებული ყველა რთული საკითხის გადაჭრაში, კონკრეტულად, იმ შეცდომების გამოსწორების მიმართულებით, რომელიც დაშვებულ იქნა ზიანის მიყენების პროცესში. აღნიშნუილი პროცედურა არ ავალდებულებს დიალოგის მონაწილეებს პირისპირ შეხვედრას. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დიალოგის სხვადასხვა ფორმები (პირისპირ შეხვედრა, პროფესიონალების შუამავლობა, წერილობითი კორესპონდენციის გაცვლა, სატელეფონო საშუალებით ან ვიდეო კონფერენციის გზით დიალოგი და ა.შ.). ასეთი ზომა მხოლოდმას შემდეგ მიიღება, როდესაც დაზარალებული და დამნაშავე მიიღებენ სრულ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით და თანხმობას განაცხადებენ მასში მონაწილეობაზე. პროცესში მონაწილეობა ნებაყოფლობითა და მასში მონაწილე პირებს გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის აღდგენისთვის გატარებული ზომები არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ დევნას.

ამისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის შუამდგომლობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივას, რომლის შეთავაზების კომპეტენციაც გააჩნია პროკურატურას და საჭიროებს შეთანხმების მიღწევას დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის.

- **სისხლის სამართლის საპროცესო ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურების პროცედურები და პირობები;**

როგორც დაზარალებულმა, შეგიძლიათ ისარგებლოთ ფინანსური ხარჯების ანაზღაურების უფლებით სხვადასხვა დონეზე: სამოქალაქო მხარის წარმომადგენლის შემთხვევაში, უფლება გაქვთ მოითხოვოთ სასამართლოს საპროცესო ხარჯების

ანაზღაურება, ხოლო მოწმის სტატუსით მონაწილეობის შემთხვევაში - სავარაუდო მგზავრობისა და ბინადრობის ხარჯების დაფარვა.

ამ განსხვავებული მოთხოვნების განსახორციელებლად აუცილებელია სათანადო იურიდიული პირობების არსებობა.

- თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ ზარალის ინდივიდუალური შეფასება დაზარალებულთა დახმარების ცენტრში და მოითხოვოთ სპეციფიური მოპყრობა, რათა თავი დაიზღვიოთ განმეორებითი დაზარალებისგან;
- საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაცია წარდგენილ იქნება პროცესის ყოველეტაპზე;
- თუ ეს არ ეწინააღმდეგება დაზარალებულის ინტერესებს ან შესაბამისი პროცესის მიმდინარეობას, სასამართლო პოლიციაში პირველი გამოცხადებისას დაზარალებულს შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, თან იახლოს სხვა პირი, სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაციის უკეთ გაგების ან გადმოცემის მიზნით;
- თუ დაზარალებული არასრულწლოვანია, მას აქვს უფლება, საქმის მოსმენის დროს იახლოს კანონიერი წარმომადგენელი ან მისი სურვილით არჩეული პირი.

## დანართი: საკონტაქტო და სხვა სასარგებლო ინფორმაცია

### სამთავრობო სამსახურები

### მიღების და იურიდიული ინფორმაციის სერვისი

| | |
|---|---|
| **Service d’accueil et d’information juridique Luxembourg (მიღების და იურიდიული ინფორმაციის სერვისი, ლუქსემბურგი)**<br><br>მისამართი:<br><br>Cité judiciaire<br>Bâtiment BC<br>L-2080 Luxembourg<br><br>**მიღების საათები**<br><br>ორშაბათი და სამშაბათი: 8.30-დან 12.00 სთ-მდე /13.00-დან 16.30 სთ-მდე **წინასწარი ჩაწერის გარეშე** | **Service d’accueil et d’information juridique Diekirch (მიღების და იურიდიული ინფორმაციის სერვისი, დიკირხი)**<br><br>მისამართი:<br><br>Bei der Aaler Kiirch<br>L-9211 Diekirch<br><br>**მიღების საათები**<br><br>ოთხშაბათს დილით: 8.30-დან 12.00 სთ-მდე **წინასწარი ჩაწერის გარეშე** |

<table>
<tr>
<td>ხუთშაბათი: 10.00-დან 12.00 სთ-მდე /13.00-დან 16.30 სთ-მდე მხოლოდ წინასწარი ჩაწერით<br><br>ოთხშაბათი და პარასკევი: 8.30-დან 12.00 სთ-მდე /13.00-დან 16.30 სთ-მდე სატელეფონო ან ელფოსტის საშუალებით</td>
<td>ოთხშაბათს შუადღისას: 13.00-დან 16.30 სთ-მდე მხოლოდ წინასწარი ჩაწერით</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">ლუქსემბურგისა და დიკირხის სამსახურების საერთო საკონტაქტო ინფორმაცია<br><br>☎ 475981 – 2600<br>ელფოსტა: pgsin@justice.etat.lu<br>საიტის მისამართი: https://justice.public.lu/fr/aides-informations/accueil-info-juridique.html</td>
</tr>
</table>

## დაზარალებულთა დახმარების სამსახურები

<table>
<tr>
<td>Service d’Aide aux Victimes<br>(დაზარალებულთა დახმარების სამსახური)<br>Service Central d’Assistance Sociale du Parquet Général (სოციალური დახმარების ცენტრალური სამსახური გენერალური პროკურატურის სერვისი)<br><br>მისამართი:<br>12-18, rue Joseph Junck (შენობა Plaza Liberty – entrée / შესასვლელი C)<br>L-1839 Luxembourg<br>☎ 621 326 595<br>დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საიტს:<br>https://justice.public.lu/fr/aides-informations/accueil-info-juridique.html.</td>
<td>მიღების საათები<br>ორშაბათი - პარასკევი: 8.30-დან 11.30 სთ-მდე /14.00-დან 17.00 სთ-მდე<br><br>კონსულტაცია მხოლოდ წინასწარი ჩაწერით<br><br>ელფოსტა: scas-sav@justice.etat.lu</td>
</tr>
</table>

## დაზარალებულთა დახმარების არასამთავრობო სამსახურები და ასოციაციები

| ძალადობები (ყველა სახის ძალადობა) |
| --- |
| **ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზი** ☎ 2060 - 1060<br>(კვირაში 7 დღის განმავლობაში – 12.00 - დან 20.00 სთ-მდე)<br><br>ელფოსტა : info@helpline-violence.lu<br><br>საიტის მისამართი: www.helpline-violence.lu<br><br>**საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში ☎ 113 !!!** |

| **Le Centre National pour Victimes de Violences (CNVV) (ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ეროვნული ცენტრი)** | **მიღების საათები** |
| --- | --- |
| ➔ გთავაზობთ მომსმენის, პოზიტიურ გარემოში მიღებისა და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების შესაძლებლობას<br><br>◆ ყველა სახის ძალადობის (ფიზიკური, სექსუალური, ფსიქიკური,...) ნებისმიერ მსხვერპლს, როგორც არასრულწლოვან, ასევე სრულწლოვან პირებს<br><br>◆ მომსახურება ასევე მოიცავს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, სამედიცინო დახმარების გაწევას, იურიდიული ინფორმაციის | **ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით**: 17.00-დან 00.00 სთ-მდე<br><br>**პარასკევი**: 18.00-დან 02.00 (ღამის) სთ-მდე<br><br>**შაბათი**: 10.00-დან 02.00 (ღამის) სთ-მდე<br><br>**კვირა** : 10.00-დან 0.00 სთ-მდე<br><br>მიღების საათებმა შესაძლოა ცვლილება განიცადოს უქმე დღეებში.<br><br>CNVV-ის ჯგუფთან დაკავშირება შესაძლებელია ასევე სატელეფონო და ელფოსტის საშუალებით, მიღების საათებში.<br><br>☎ 2755 5315<br><br>ელფოსტა : info.cnvv@croix-rouge.lu<br>https://violence.lu/centre-national-pour-victimes-de-violences/ |

| | |
|---|---|
| მიწოდებასა და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე პოლიციის გამოძახებას, საჩივრის წარდგენის მიზნით. | |

არსებული ასოციაციების შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და მათთან დაკავშირებლად საჭირო საკონტაქტო მონაცემებისათვის ეწვიეთ საიტს: www.violence.lu

| ოჯახური ძალადობა (ოჯახის წევრების, მეუღლის ან პარტნიორის მიმართ ძალადობა) და გენდერული ძალადობა (სექსუალური ძალადობები) | |
|---|---|
| **Visavi (vivre sans violence) / Visavi (ცხოვრება ძალადობის გარეშე)**<br><br>Centre de consultation pour femmes de l'asbl Femmes en détresse – Luxembourg (ქალთა კონსულტაციის ცენტრი - ლუქსემბურგი)<br><br>მისამართი:<br><br>2, rue du Fort Wallis<br>L-2714 Luxembourg<br>☎ 49 08 77-1<br><br>დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საიტს: www.fed.lu | **სატელეფონო კონსულტაცია**<br><br>ორშაბათი – პარასკევი: 9.00-დან 17.00 სთ-მდე<br><br>**ინდივიდუალური კონსულტაცია მხოლოდ წინასწარ ჩაწერით ქ. ლუქსემბურგში**<br><br>ელფოსტა: **visavi@fed.lu** |
| **InfoMann**<br><br>Centre de consultation pour hommes de l'asbl ActTogether – Luxembourg (მამაკაცთა კონსულტაციის ცენტრი - ლუქსემბურგი)<br><br>მისამართი:<br><br>39, rue de Bouillon<br>L-1248 Luxembourg<br><br>☎ 27 49 65<br><br>დამატებითი ინფორმაციისათვის | **კონსულტაცია მხოლოდ წინასწარ ჩაწერით**<br><br>**მიღების საათები**<br><br>ორშაბათი – პარასკევი: 9.00-დან 17.00 სთ-მდე<br><br>ელფოსტა: info@infomann.lu |

| | |
|---|---|
| ეწვიეთ საიტს: www.acttogether.lu | |

## სექსუალური ძალადობები

| | |
|---|---|
| **Planning familial**<br><br>**Site Luxemburg-Ville (ქ. ლუქსემბურგის ფილიალი)**<br><br>**Centre Dr M.-P. Molitor-Pfeffer**<br><br>მისამართი:<br><br>6-10, Rue De La Fonderie –<br>L-1531 Luxembourg<br><br>☎ 48 59 76 | **მიღების საათები**<br><br>ორშაბათი – პარასკევი: 9.00-დან 17.00 სთ-მდე<br><br>ხუთშაბათი 18.00 სთ-მდე<br><br>წინასწარ ჩაწერა აუცილებელია<br><br>ელ ფოსტა: info@pfl.lu |
| ***<br><br>**Planning Familial**<br><br>**Site Esch/Alzette (ეშ / ალზეტის ფილიალი)**<br><br>2-4, Rue Ernie Reitz / avenue de la Gare-ის 14 - 16 ნომრების გადაკვეთაზე (მე-4 სართული)<br>L- 4251 Esch/Alzette<br><br>☎ 54 51 51 | ***<br><br>**მიღების საათები**<br><br>ორშაბათი: 8.00-დან 12.30 სთ-მდე / 13.30-დან 17.00 სთ-მდე<br><br>სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი : 8.00-დან 12.30 სთ-მდე / 13.30-დან 16.00 სთ-მდე<br><br>პარასკევი: 8.00-დან 12.30 სთ-მდე / 13.30-დან 17.00 სთ-მდე<br><br>წინასწარ ჩაწერა აუცილებელია<br><br>ელ ფოსტა: esch@pfl.lu |
| **Planning Familial**<br><br>**Site Ettelbrück (ეტელბრუკის ფილიალი)**<br><br>მისამართი:<br><br>18, Avenue J.F. Kennedy<br>L-9053 Ettelbrück<br><br>☎ 81 87 87 | **მიღების საათები**<br><br>ორშაბათი – ხუთშაბათი: 9.00-დან 12.30 სთ-მდე / 13.00-დან 17.00 სთ-მდე<br><br>ოთხშაბათს მიღების საათი იწყება 10.30 სთ-დან<br><br>წინასწარ ჩაწერა აუცილებელია, |
| ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საიტს: www.pfl.lu | |

| LGBTIQ+ კატეგორიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ძალადობა | |
|---|---|
| **Cigale asbl – Centre LGBTIQ+ - Luxembourg (LGBTIQ+ პირთა დახმარების ცენტრი – ლუქსემბურგი)**<br><br>მისამართი:<br><br>16, rue Notre Dame<br><br>L-2240 Luxembourg<br><br>☎ 26 19 00 18<br><br>დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საიტს: www.cigale.lu | კონსულტაცია წინასწარ ჩაწერით<br><br>**წინასწარ ჩაწერის გარეშე**<br><br>სამშაბათი – პარასკევი: 12.00-დან 17.00 სთ-მდე<br><br>ელ ფოსტა : info@cigale.lu |

ბავშვებსა და მოზარდებზე ძალადობა

| | |
|---|---|
| **ALUPSE Asbl - Luxembourg**<br><br>მისამართი:<br><br>201, route de Thionville<br><br>L – 5885 Howald<br><br>☎ 26 18 48 -1, საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში დაუკავშირდით ნომერზე: 621 232 268 ან 621 232 267<br><br>დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საიტს: www.alupse.lu | კონსულტაცია მხოლოდ წინასწარ ჩაწერით<br><br>ორშაბათი – პარასკევი: 9.00-დან 17.00 სთ-მდე<br><br>**კვირაში ერთხელ კონსულტაციები შესაძლოა გაიმართოს ეტელბრუკში მისამართზე:**<br><br>4, Grand-Rue<br><br>L-9050 Ettelbrück<br><br>ელ ფოსტა : info@alupse.lu /alupse.bebe@alupse.lu |
| **Alternatives - Centre de consultation pour enfants et adolescents victimes de violence – Fondation Pro Familia – Esch/Alzette (ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა და მოზარდთა კონსულტაციის ცენტრი – ეშ / ალზეტის ფილიალი)**<br><br>მისამართი:<br><br>138, rue de Belvaux | კონსულტაცია წინასწარ ჩაწერით<br><br>ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: 8.00-დან 18.00 სთ-მდე / 19.00 სთ-მდე |

| | |
|---|---|
| L-4026 Esch/Alzette<br><br>☎ 51 72 72 -500<br><br>დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საიტს: [www.profamilia.lu](http://www.profamilia.lu) | ელფოსტა: [alternatives@profamilia.lu](mailto:alternatives@profamilia.lu) |
| **S-PSYea - Service psychologique pour enfants et adolescents victimes de violences domestiques – Femmes en détresse a.s.b.l. (ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი)**<br><br>მისამართი:<br><br>B.P. 1024<br>L-1010 Luxembourg<br><br>☎ 26 48 20 50<br><br>დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საიტს: [www.fed.lu](http://www.fed.lu) | **მიღების საათები**<br>ორშაბათი და ოთხშაბათი: 8.00-დან 18.00 სთ-მდე<br>სამშაბათი და ხუთშაბათი: 8.30-დან 18.00 სთ-მდე<br>პარასკევი: 8.00-დან 17.00 სთ-მდე<br><br>ელფოსტა: **[psyea@fed.lu](mailto:psyea@fed.lu)** |

## ტრეფიკინგი

**INFOTRAITE - Service d'assistance aux victimes de la traite des êtres humains - de la Fondation de la Porte Ouverte (ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების ცენტრი)**

მისამართი:

16, avenue Marie- Thérèse

L- 2132 Luxembourg

☎ 25 36 56 46 ან 621 316 919 ან 621351 884

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საიტს: [www.stoptraite.lu](http://www.stoptraite.lu)

ელფოსტა: [info@traite.lu](mailto:info@traite.lu)

**Service de Justice Restorative (SEJURE)/ აღდგენითი სამართლის სამსახური**

Centre de Médiation ASBL (საშუამავლო ცენტრი. ASBL)

მისამართი:
87, Route de Thionville
L-2611 Luxembourg
☎ 27 48 34 64
sejure@mediation.lu
www.sejure.lu